საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. ყახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53, ფაქსი: (995 32) 92 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/40-14

29. 01. 2014 წ.

სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე)

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

1. სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს მიერ, 2013 წლის 20 ოქტომბრიდან 2014 წლის 27 იანვრამდე, შეძენილი ყველა ავტო-სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი, შეძენის თარიღისა და გადახდილი თანხის მითითებით;
2. იმ ხელშეკრულებათა ასლები, რომლებიც გაფორმებული იქნა საანგარიშო პერიოდში და რომელიც მიზნად ისახავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენას;

პატივისცემით,

თამარ გვარამაძე

აღმასრულებელი დირექტორი

შემსრულებელი: სოფიო ჭარელი

საქართველოს
ენერგეტიკის სამინისტრო
სსიპ ნავთობისა და გაზის
სახელმწიფო სააგენტო
206351749
შემოსული № 041
31 01 2014

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. ხახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/40-14

29. 01. 2014 წ.

სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე)

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

1. სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს მიერ, 2013 წლის 20 ოქტომბრიდან 2014 წლის 27 იანვრამდე, შეძენილი ყველა ავტო-სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი, შეძენის თარიღისა და გადახდილი თანხის მითითებით;
2. იმ ხელშეკრულებათა ასლები, რომლებიც გაფორმებული იქნა საანგარიშო პერიოდში და რომელიც მიზნად ისახავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენას;

პატივისცემით,

თამარ გვარამაძე

აღმასრულებელი დირექტორი

შემსრულებელი: სოფიო ჭარელი

საქართველოს
ენერგეტიკის სამინისტრო
სსიპ ნავთობისა და გაზის
სახელმწიფო სააგენტო
206351749
შემოსული № 041
„31" 01 2014

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

MINISTRY OF ENERGY OF GEORGIA
LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS

№ 06-01/045

6 თებერვალი 2014წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
აღმასრულებელ დირექტორს ქ-ნ თამარ გვარამაძეს

ქალბატონო თამარ,

თქვენი მიმდინარე წლის 29 იანვრის № გ-04/40-14 განცხადების პასუხად,

წარმოგიდგენთ, სსიპ-ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს მიერ 2013 წლის 25 დეკემბერს შეძენილი ავტო-სატრანსპორტო საშუალების შესყიდვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.

დანართი „13" ფურცელი.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი
ნინო ჩუბინიძე

საქართველო, თბილისი, 0105 სანაპიროს ქ. 2: ტელ: (+995 32) 225 33 00/99; ფაქსი: (+995 32) 225 33 11
2 Sanapiro str., 0105 Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 225 33 00/99; Fax: (+995 32) 225 33 11

საქართველოს ენერგეტიკის
სამინისტრო

MINISTRY OF ENERGY
OF GEORGIA

N 08/1073
19/03/2014

1073-08-2-201403191243

სსიპ "ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს"

ასლი: მოქალაქე ეთერ გვრიტიშვილს

შესაბამისი რეაგირებისათვის, დანართის სახით გიგზავნით მოქალაქე ეთერ გვრიტიშვილის წერილს. გთხოვთ, პასუხი აცნობოთ განმცხადებელს.

დანართი: 1 ფურცელი

პატივისცემით,

ზაზა ნანობაშვილი
დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი

საქართველოს
ენერგეტიკის სამინისტრო
სსიპ ნავთობისა და გაზის
სახელმწიფო სააგენტო
206351749
შემოსული № 158
26 03 2014

საქართველო.თბილისი 0105. სანაპირო ქ.2: ტელ.:235 78 28: 235 78 01: ელ.ფოსტა: mail@energy.gov.ge
2 Sanapiro str., 0105 Tbilisi, Georgia; Tel.: +995 32 235 78 28; +995 32 235 78 01; e-mail: mail@energy.gov.ge , web: www.energy.gov.ge

Nino Kikacheishvili

From: Eto Gvritishvili <e.gvritishvili@gmail.com>
Sent: Tuesday, March 18, 2014 1:44 PM
To: Nino Kikacheishvili
Subject: Re: საჯარო ინფორმაცია!

№ 1491
18 - 03 2014
1 ფურცელი

მოგესალმებით ქალბატონო ნინო,

დიდ მადლობას გიხდით ყურადღებისთვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ მომაწოდოთ ენერგეტიკის სამინისტროში და მის დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებული თანამდებობის პირების სახელები და გვარები, მათი თანამდებობები და მათზე 2013 წლის 1-ლი იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე გაცემული პრემიების შესახებ. (გთხოვთ ინფორმაცია მომაწოდოთ თითოეული პირისთვის ინდივიდუალურად.)

ასევე, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია ზემოაღნიშნულ დროის მონაკვეთში სამინისტროში დასაქმებულ თანამშრომლებზე გაცემული პრემიის ჯამური ოდენობა და თანამშრომლების რაოდენობა.

პატივისცემით,

ე.გვრიტიშვილი

2014-03-13 18:18 GMT+04:00 Nino Kikacheishvili <N.Kikacheishvili@energy.gov.ge>:

ქალბატონო ეთერ,

ვერ ვკითხულობთ თქვენს წერილს.

From: ეთერი გვრიტიშვილი [mailto:e.gvritishvili@gmail.com]
Sent: Thursday, March 13, 2014 5:16 PM

საქართველოს
ენერგეტიკის სამინისტრო
სსიპ ნავთობისა და გაზის
სახელმწიფო სააგენტო
206351749
შემოსული № _____
"____" _____ 20

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

MINISTRY OF ENERGY OF GEORGIA
LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS

№ 06-01/119

27 ივნისი 2017წ.

მოქალაქე ეთერ გვრიტიშვილს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად ა.წ. 18 მარტის წერილის პასუხად გაცნობებთ:

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს თანამდებობის პირები არიან:

სააგენტოს უფროსი - გიორგი ტატიშვილი

სააგენტოს უფროსის მოადგილე - ჯემალ ჭრელაშვილი

2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე სააგენტოს უფროსს პრემიის სახით მიღებული აქვს 11 120 ლარი (თერთმეტი ათას ას ოცი), ხოლო სააგენტოს უფროსის მოადგილეს 9840 ლარი (ცხრა ათას რვაას ორმოცი) ლარის პრემია.

აღნიშნულ პერიოდში სააგენტოში დასაქმებულ თანამშრომლებზე (23 თანამშრომელი) გაცემული იქნა 71430 (სამოცდათერთმეტიათასოთხასოცდაათი)ლარის ოდენობის პრემია.

გიორგი ტატიშვილი

სააგენტოს უფროსი

საქართველო, თბილისი, 0105 სანაპიროს ქ. 2: ტელ: (+995 32) 225 33 00/99; ფაქსი: (+995 32) 225 33 11
2 Sanapiro str., 0105 Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 225 33 00/99; Fax: (+995 32) 225 33 11

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

KA060149057076714

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

20 / ოქტომბერი / 2014 წ.

 # 6046

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს
სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო
სააგენტოს უფროსს
ბატონ გიორგი ტატიშვილს

ბატონო გიორგი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად გეგზავნებათ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში 2014 წლის 16 ოქტომბერს შემოსული მოქალაქე იმედა გუგუნაშვილის წარმომადგენლის თეიმურაზ ბიჭოშვილის #15515 განცხადება.

დანართი 3 ფურცლად.

პატივისცემით

შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

რევაზ ბეჟაშვილი

საქართველოს
ენერგეტიკის სამინისტრო
სსიპ ნავთობისა [illegible]
სახელმწიფო [illegible]
206[illegible]
შემოსული N 566
„24" 10 2014

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს
მოქალაქე *იმედა გუგუნაშვილის*, პ/ნ 12001019316,
მცხ. გარდაბნის რაიონის, სოფ. საცხენისი,
ტელ. 577-40-41-79, 551-09-24-92,
წარმომადგენლის *თეიმურაზ ბიჭოშვილის*, პ/ნ
12001016042 მცხ. ქ. რუსთავი, ფალიაშვილის ქ. №10, ბინა
№21, ტელ. 577-55-13-80, E-mail:temo.6262@mail.ru

16 № 15515 10 2014 წ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ 2009 წლის 1 მაისს ქ. გარდაბანში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქვემო ქართლის სამსარეო სამმართველოს მიერ ორგანიზებული სპეციალურ აუქციონში გასაყიდად გამოტანილი იყო გარდაბნის რაიონის სოფ. ახალსოფლის ტერიტორიაზე მდებარე 7.84 ჰა ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 81.11.02.364. ჩემმა მარწმუნებელმა ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა კიდეც. თუმცაღა ამ აუქციონის შედეგები მოგვიანებით გაუქმდა. ჩვენი მხარის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაშია გასაჩივრებული.

2012 წლის აპრილის თვეში (ზუსტი თარიღი დაუდგენელია) იმედა გუგუნაშვილმა და მისმა პარტნიორებმა (ისინი მისი ბიძაშვილები არიან) მითითებულ მიწის ნაკვეთზე ნახეს, რომ მათ ფაქტიურ მფლობელობაში არსებულ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთში, რომელიც დაახლოებით 2 ჰა-ს მოიცავდა, დადგმული იყო ნავთობის ჭაბურღილი და იქვე მოძრაობდა სპეცტექნიკაც. მიწის ზედა ნაყოფიერი ფენა მთლიანად მოხსნილი და მასზე ბალატი იყო დაყრილი. როცა იქ მომუშავე პირებს ჰკითხეს, თუ რა უნდოდათ მათ ამ მიწის ნაკვეთში, უპასუხეს, რომ ისინი იყვნენ სს „ნორიოს ნავთობის კომპანიის" თანამშრომლები და „საქნავთობის" ნებართვით ახორციელებდნენ მოპოვებით-დაზვერვით სამუშაოებს. ჩემი მარწმუნებლის პარტნიორები შეხვდნენ მითითებული კომპანიის უფლებამოსილ წარმომადგენელს (დირექტორს ბატონ მამუკა ხარაბაძეს), რომელსაც პირისპირ შეხვედრისას აუხსნეს, ვინც იყვნენ, რომ იმ მიწის ნაკვეთზე, სადაც ისინი აწარმოებენ სამეწარმეო საქმიანობას, ჰქონდათ თავისი კანონიერი ინტერესები. უჩვენეს სპეციალურ აუქციონში გამარჯვების ოქმიც და, თავის მხრივ, დაინტერესდნენ, ჰქონდა თუ არა სს „ნორიოს ნავთობის კომპანიას" ამ მიწის ნაკვეთით სარგებლობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტები. ამის საპასუხოდ მამუკა ხარაბაძემ გადასცა მხოლოდ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ 2012 წლის 14 მაისს შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანი"-ის სახელზე გაგზავნილი №09-18/55 წერილის ასლი (მას ხელს აწერს სააგენტოს უფროსის მოადგილე გიორგი ტატიშვილი), რომელშიც აღნიშნულია, რომ „განაცხადი XIC სალიცენზიო ბლოკის ნორიო-საცხენისის საბადოზე №1 საცხენისის ჭაბურღილის ბურღვაზე უფლებამოსილების მინიჭებაზე დამტკიცებულია". სს „ნორიოს ნავთობის კომპანიის" წარმომადგენლებს არ უჩვენებიათ ჩვენთვის ამ მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ვთქვათ იჯარის ხელშეკრულება). ჩემი მარწმუნებელი და მისი პარტნიორი დაინტერესდნენ თუ ვინ იდგნენ ამ ნავთობკომპანიის უკან. აღმოჩნდა, რომ შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანიის" (დირექტორი მამუკა ხარაბაძე) დამფუძნებელია სს „ნორიოს ნავთობის კომპანია" (დირექტორი მალხაზ სვანიძე). გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ სს „ნორიოს ნავთობის კომპანია" შეერწყა შპს „ნავთობის საერთაშორისო სერვისული კომპანია" (დირექტორი მამუკა ხარაბაძე).

სავარაუდოდ, ამ ნავთობკომპანიასა და ყოფილი ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებს შორის, რომლებსაც ზურგს უმაგრებდნენ შს სამინისტროს კორუმპირებული ყოფილი მაღალჩინოსნები, შემდგარი იყო უკანონო გარიგება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, შეისწავლოთ ჩვენი ეს განცხადება და გვაცნობოთ, რამდენად კანონიერად აწარმოებდა შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანი"-ია გარდაბნის რაიონის სოფ. ახალსოფლის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით 81.11.02.364) მოპოვებით-დაზვერვით სამუშაოებს, რეალურად მდებარეობს თუ არა ნორიო-საცხენისის საბადოს №1 საცხენისის ჭაბურღილი მითითებულ ფართობზე, დამტკიცებულია თუ არა ნამდვილად ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ ბურღვაზე შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანი"-ისათვის უფლებამოსილების მინიჭება. ასევე, გთხოვთ, გადმოგვცეთ მითითებულ საქმესთან დაკავშირებით თქვენს სამინისტროში არსებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

დანართი: „5" ფურცელი.

პატივისცემით,
თეიმურაზ ბიჭოშვილი
15 ოქტომბერი, 2014 წელი

საქართველოს
ენერგეტიკის სამინისტრო
სსიპ ნავთობისა და გაზის
სახელმწიფო სააგენტო
206351749
შემოსული № 566
„24" 10 2014

საქართველოს
ენერგეტიკისა და
ბუნებრივი რესურსების
სამინისტრო

ბუნებრივი რესურსების
სააგენტო

MINISTRY OF ENERGY
AND NATURAL
RESOURCES OF GEORGIA

AGENCY OF NATURAL
RESOURCES

№ 09-18/55 14 05 2012 წ.

შპს "ნორიოს საოპერაციო კომპანი"- ის
გენერალურ დირექტორს
ბატონ მ.ხარაბაძეს

გაცნობებთ, რომ თქვენი განაცხადი XI^C სალიცენზიო ბლოკის ნორიო-საცხენისის საბადოზე №1 საცხენის ჭაბურღილის ბურღვაზე უფლებამოსილების მინიჭებაზე - დამტკიცებულია.

აქვე შეგახსენებთ, რომ ბურღვითი სამუშაოების დაწყების წინ უნდა ჩატარდეს საბურღი და სხვა მოწყობილობა-დანადგარების ინსპექტირება.

პატივისცემით,

გიორგი ტატიშვილი
სააგენტოს უფროსის მოადგილე

საქართველო, თბილისი 0114, გულუას ქუჩა 6/ Gulua st. 6 Tbilisi 0114 Georgia
ტელ/Tel: (+995-32) 25-33-00/99; ფაქსი/Fax: (+995-32) 25-33-11
ელ.ფოსტა/E-mail: info@nagro.ge

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

MINISTRY OF ENERGY OF GEORGIA
LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS

N 04-415
10/11/2014

415-04-2-201411101726

საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
შიდა აუდიტის დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ რევაზ ბეჟაშვილს

ბატონო რევაზ,

თქვენი 2014 წლის 20 ოქტომბრის № 6046 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2012 წლის 14 მაისის №09-18/55 წერილით ბუნებრივი რესურსების სააგენტომ ნავთობისა და გაზის ოპერაციების ეროვნული მარეგულირებელი წესების 21-ე მუხლის თანახმად თანხმობა გასცა შპს "ნორიოს საოპერაციო კომპანიის" განაცხადზე, რომელიც ეხებოდა XIC სალიცენზიო ბლოკის ნორიო-საცხენისის საბადოზე №1 საცხენისის ჭაბურღილის ბურღვისათვის უფლებამოსილების მინიჭებას.

ნებართვის მიღებისათვის შპს "ნორიოს საოპერაციო კომპანიამ" სააგენტოში წარმოადგინა ზემოაღნიშნული მარეგულირებელი წესების მიხედვით დადგენილი ყველა საჭირო დოკუმენტაცია. მათ შორის გეოლოგიური დასაბუთებისა და საბურღი სამუშაოების პროგრამა.

აგრეთვე გვსურს გაცნობოთ, რომ ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით ნორიო-საცხენისის საბადოს №1 საცხენისის ჭაბურღილი პროექტის მიხედვით არ მდებარეობდა გარდაბანის რაიონის სოფელ ახალსოფლის ტერიტორიაზე მდებარე 7.84 ჰა ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია 81.11.02.364 (საკადასტრო გეგმა დანართის სახით თან ერთვის ამ წერილს 1 ფურცელი) და რომლის მესაკუთრესაც წარმოადგენს სახელმწიფო. აქვე გატყობინებთ, რომ შპს "ნორიოს საოპერაციო კომპანიის" გადაწყვეტილებით ამ ჭაბურღილის ბურღვა არ განხორციელებულა.

პატივისცემით,

გიორგი ტატიშვილი

სააგენტოს უფროსი

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

OPD10/14-044

3 ნოემბერი 2014 წ.

ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანმხმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1) 2014 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;
2) 2014 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;
3) 2014 წელს თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;
4) 2014 წელს თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;
5) დღეის მდგომარეობით მოქმედი საშტატო ნუსხა თანამდებობრივი სარგოების მითითებით;
6) შტატგარეშე მოსამსახურეთა ოდენობა დღეის მდგომარეობით, ცალკე მითითებით ათვისებული/დანიშნული მოხელეების ქვოტა;
7) 2014 წელს შტატგარეშე მოსამსახურეებისათვის დარიცხული შრომის ანაზღაურება, მათ შორის პრემიებისა და სახელფასო დანამატების ოდენობა ცალ-ცალკე;
8) ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ქსეროასლები;
9) 2014 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები; (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა, და თქვენი დაწესებულებისგან წარმოდგენილ დამსწრე პირთა ოდენობის მითითებით);
10) 2014 წელს თანამდებობის პირების (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ ე.წ. „როუმინგულ" მომსახურებაზე გაწეული ხარჯები;
11) 2014 წელს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით;

Institute for Development of Freedom of Information
3, Al. Griboedov Street, 0108, Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 292 15 14 · info@idfi.ge
www.idfi.ge www.opendata.ge

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ალ. გრიბოედოვის ქ. № 3, თბილისი 0108, საქართველო
ტელ. +995 32 292 15 14 · info@idfi.ge
www.idfi.ge www.opendata.ge

12) 2014 წელს თანამშრომლების (თანამდებობის პირების გარდა) ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით);
13) 2014 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი მიწერილობა (წერილობითი შეთანხმება) შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან;
14) 2014 წელს გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვის სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით;
15) 2014 წელს იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის სია, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით);
16) ბალანსზე რიცხული ავტომობილების ჩამონათვალი (ავტომობილის მოდელის, ავტომობილის გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის, შესყიდვის ფასის და ნარჩენი ღირებულების მითითებით. ასევე საჯარო მოხელის თანამდებობა, რომელსაც გადაცემული აქვს მფლობელობაში შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალება);
17) 2014 წელს საკონსულტაციო მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ შემდეგი ინფორმაცია: ხელშეკრულების გაფორმების თარიღი, ვისთან გაფორმდა ხელშეკრულება, ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება;
18) 2014 წელს თქვენი უწყების ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურეობრივი ელექტრონული ფოსტიდან სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები.

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge , ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.
გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი

IDFI

საქართველოს ეროვნების საინფორმაციო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
20456017

საქართველოს ეროვნებიის საინფორმაციო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
206351749
შემოსული № 590
07 11 2014

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

MINISTRY OF ENERGY OF GEORGIA
LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS

№ 06-427

20 ნოემბერი 2014 წ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის დირექტორს ბ-ნ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი, მიმდინარე წლის 3 ნოემბრის OPD10/14-044, განცხადების პასუხად საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სსიპ „ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტოდან" გიგზავნით საჯარო ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან სააგენტოსთვის გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის შესახებ.

დანართი: 27 ფურცელი.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი
ნინო ჩუბინიძე

საქართველო, თბილისი, 0105 სანაპირის ქ. 2; ტელ: (+995 32) 225 33 00/99; ფაქსი: (+995 32) 225 33 11
2 Sanapiro str., 0105 Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 225 33 00/99; Fax: (+995 32) 225 33 11

MDF
მდგრადი განვითარების ფონდი

მის: ილ. ჭავჭავაძის გამზ. 54
მე-5 სადარბაზო, მე-4 სართული
ტელ: 790/ 99 66 07
www.mdfgeorgia.ge
e-mail: mdfgeo@gmail.com

ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს
ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

1. ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს მიერ 2013-2014 წლებში მედია საშუალებებისთვის (საინფორმაციო სააგენტო, ინტერნეტ-პორტალი, გაზეთი, ტელევიზია, რადიო) გადარიცხული თანხების საერთო რაოდენობის შესახებ, ასევე ინფორმაცია ინდივიდუალური მედია საშუალებებისთვის გადარიცხული თანხების შესახებ;
2. ხელშეკრულებების ასლები (2013-2014), რომლებიც ითვალისწინებს მედია საშუალებების (საინფორმაციო სააგენტო, ინტერნეტ-პორტალი, გაზეთი, ტელევიზია, რადიო) მიერ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოსთვის ინფორმაციის გავრცელებას, სარეკლამო და სხვა სახის მომსახურების გაწევას;
3. ასევე მე-2 პუნქტში მითითებული ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტების ასლები (2013-2014).

პატივისცემით,

თამარ კინწურაშვილი

21.11.2014.

საქართველოს
ენერგეტიკის სამინისტრო
სსიპ ნავთობისა და გაზის
სახელმწიფო სააგენტო
206351749
შემოსული № 620
"21" 11 2014

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

MINISTRY OF ENERGY OF GEORGIA
LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS

452-06-2-201412051434

N 06-452
05/12/2014

მედიის განვითარების ფონდს

თქვენ მიერ ამა წლის 21 ნოემბერს გამოგზავნილ წერილთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ 2013-2014 წლებში მედია საშუალებებთან სარეკლამო ან სხვა სახის მომსახურების შესყიდვა არ განხორციელებულა.

პატივისცემით,

გიორგი ტატიშვილი

სააგენტოს უფროსი

ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსს

ბატონ გიორგი ტატიშვილს

გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის

დავით ბეროშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვმუშაობ თემაზე: კახეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მჭირდება კახეთის ნავთობისა და გაზის მოპოვების სტატისტიკა 2008-2013წწ (ყველა წლის) მომპოვებელი კომპანიების მიხედვით. გთხოვთ გადმომცეთ აღნიშნული მასალები. თუ შესაძლებელია აღნიშნული მასალები გადმომიგზავნეთ ელექტრონული პოსტით.

datoberoshvili@gmail.com dberoshvili@yahoo.com TEL 551-24-50-76

პატივისცემით

დავით ბეროშვილი

26,11,2014

საქართველოს
ენერგეტიკის საგინისტრო
სსიპ ნავთობისა და გაზის
სახელმწიფო სააგენტო
206351749
შემოსული № 627
26 11 2014

პასუხი გაცემულია ელექტრონულად 04.12.2014